ISSN 1987-5134

# საბავშვო კარუსელი



შემეცნებით-გასართობი ჟურნალი

37


ფასდაკლების ვაუჩერი

ამოჭერი ვაუჩერი, წარადგინე „ბიბლუსის“ ნებისმიერ მაღაზიაში და მიიღე წიგნი

ფასდაკლებით

საბავშვო კარუსელი

ვაუჩერი ძალაშია 23-დან 29 სექტემბრის ჩათვლით

დიდი ქართველების ილუსტრირებული ბიოგრაფიები

~~25 ლარი~~

15.00 ლარი



23 სექტემბერი, 2016 წელი

გამოდის პარასკეობით

ფასი 2 ლარი


www.facebook.com/საბავშვო-კარუსელი

# ჩიტების ლაბირინთი

დაეხმარე ჩიტუნას, გაიაროს ლაბირინთი
და თავის მეგობრებს შეუერთდეს.



ახლა კი შეაერთე წერტილები და მწერები
ერთმანეთთან დააკავშირე.



# მოზაიკა

იპოვე ნახატზე ეს ფრაგმენტები და ამოიკითხე სიტყვა.







შეაერთე წერტილები თანმიმდევრობით და დაასრულე ჩიტის ხატვა.



# გასართობი გვერდი



იპოვე ნახატზე ზღვის ვარსკვლავა.

რომელი ფრაგმენტი არ არის ნახატზე?

სად არის მაშველი რგოლი?

სად არის ნიჩაბი?

ვის უჭირავს კოვზი?

რამდენ კვერცხს ხედავ ნახატზე?

იპოვე ნახატზე ბოთლი საცობით.

# გააფერადე



# კროსვორდი „სააბაზანო“



# იპოვე 8 განსხვავება





# კროსვორდი „ზარი“

ამ კროსვორდში კენტი ციფრებით აღნიშნული უჯრები მარჯვნიდან მარცხნივ ივსება, ლუწით აღნიშნულები კი – მარცხნიდან მარჯვნივ. თუ სწორად შეავსებ, ფერად უჯრებში ამოიკითხავ სიტყვას, რომელიც სკოლას გაგახსენებს.




1 „მაღვიძარა“ ფრინველი;

2 ალიონი, ანუ ...;

3 „... მუშკეტერი“;

4 გადასაფურცლი საკითხავი;

5 ქართველი მწერლის სახელი;

6 ყვავილების დედოფალი;

7 სიმღერის გარითმული ტექსტი;

8 მკურნალი, იგივე ...;

9 მოედანზე ფეხბურთელისთვის საჭირო ნივთი;

10 კვერცხის ბუნებრივი, წითელი საღებავი;

11 დილა-საღამოს სათქმელი ღვთიური სიტყვები;

12 მგალობელი ფრინველი.

# ჯადოქრის ცხოველები

დათვალე ცხოველები და ცარიელ უჯრებში სწორი ციფრები ჩაწერე.





# ჭკვიანი ჭიაყელები

განაგრძე ჭიების ტანზე ფიგურების ხატვა ისე, რომ თანმიმდევრობა არ დაირღვეს.









ვინქსების
შესახებ
მეტი
წაიკითხე
წიგნში

# კროსვორდი



# ლექსები

ვასილ გულეური

## ფისო-დიასახლისი

მზე როდესაც ამოვა,
ფისო დადგამს სამოვარს.
მერე ქადებს დააცხობს
და მაგიდას გააწყობს.

დაუძახებს კატუნებს,
კუდფუმფულებს, ხატულებს...
ჩაითა და ქადებით
საუზმობენ კატები.



## ციყვი



აღარ სწავლობს ციყვი
თავის გაკვეთილებს,
თხილის დანახვაზე
აკაწკაწებს კბილებს.

წიგნს არ იღებს ხელში,
კითხვა აღარ ნებავს,
თუკი სადმე თვალი
მოჰკრა კაკლის ლებანს.

– რადგან არ გსურს სწავლა,
– ამბობს დედა ციყვი,
– გაიზრდები დიდი
და დარჩები ბრიყვი!

## ბუ

დღისით წიგნებს კითხულობს,
არ შორდება ფუღუროს.
ღამით გარეთ დაფრინავს,
ვარსკვლავებს რომ უყუროს.

რჩევას ვინც ეკითხება,
არ ისტუმრებს უარით...
ყველაფერი სცოდნია,
მართლა ბრძენი ბუ არის!



# სავარჯიშო

ავარჯიშებს ორიენტაციის უნარს.

ცარიელ ბადეში ზუსტად გადაიტანე წერტილთა განლაგება.



# ლოგიკური თამაში



დანომრე ნახატები თანმიმდევრობით –
რა იყო თავიდან და რა – შემდეგ?



# თამაში: „კომბლეს ცხვრები“

ეს ჩვენი ნაცნობი კომბლეა და მალე ცხვრების მოსაყვანად გზას უნდა გაუდგეს. დაუძახე მეგობარს, მოიმარაგეთ ფანტები, კამათელი და თამაშს შეუდექით. ფანტები დააწყვეთ სტარტზე, გააგორეთ კამათელი რიგრიგობით და გადაად-გილდით იმდენი უჯრით, რა ციფრზეც კამათელი დაჯდება. გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი აპოვნინებს კომბლეს თავის ბეკეკებს.



– გამოტოვე სვლა;
– გააგორე კიდევ ერთხელ;
– დაბრუნდი 2 უჯრით უკან;
– გადაადგილდი ისრის მიმართულებით.



# პეპლების საოცარი გარდასახვა

1 პეპლები მშვენიერი არსებები არიან, ყვავილიდან ყვავილზე დაფარფატებენ, ბუნებას ალამაზებენ და ძალიან ცოტა ხანს ცოცხლობენ. თუმცა, ყველაზე საინტერესო მაინც მათი ამქვეყნად მოვლინებისა და საოცარი გარდასახვის ამბავია.



ეს პეპელა შენი სურვილისამებრ გააფერადე.

2 პეპლების ხანმოკლე სიცოცხლე ურთულესი გარდაქმნებით არის სავსე, იწყება კვერცხიდან, რომელსაც მოზრდილი პეპელა რომელიმე ფოთოლზე დებს.





**3** კვერცხიდან იჩეკება პუტკუნა ჭიაყელა, იგი სწრაფად გადაადგილდება ფოთლიდან ფოთოლზე, იკვებება და თან უკვე არჩევს იმ მცენარეს, რომელზეც, მოგვიანებით, მოზრდილი პეპელა კვერცხებს დადებს.





**4** როცა ჭია საკმარისი რაოდენობის საკვებს მიიღებს, წყვეტს კვებას და უშვებს უწვრილეს ძაფს, რომელშიც თავადვე ეხვევა. ამ ძაფისგან მოქსოვილ პარკში გახვეული კიდევ ატარებს გარკვეულ დროს.

**5** ცოტა ხანში კი, პარკი სკდება და იქიდან უკვე ფრთოსანი არსება გამოფრინდება. ეს მართლაც, საოცარი სანახაობაა – უშნო ჭიაყელა ულამაზეს პეპლად გადაიქცა.





ამ ლამაზ-ლამაზ პეპლებს შორის მხოლოდ ორია ზუსტად ერთნაირი. აბა, იპოვე.



# ფრენაზე მეოცნებე ქათამი



ნინო მზესელი

ქვეყნად ფრენაზე მეოცნებე ერთი ქათამი ცხოვრობდა. დილიდან საღამომდე უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა და ყველა შემხვედრს ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: – ნუთუ ვერასდროს გავინავარდებ ცაში? ნუთუ ვერასდროს ჩამოვუქროლებ ფოთოლშრიალა ხეებს?..

ერთ დღესაც, წინ და უკან ხეტიალში ჯერ კურდღელს გადაეყარა, მერე – ყურბარტყუნა ვირს, ორივემ გულწრფელად უპასუხა – ფრენა საშენო საქმე არ არისო!

განაწყენებულმა ქათამმა ორჯერვე ფრთა ჩაიქნია, – მეც მაგარი ვარ, ყველა ჩერჩეტს აზრს რომ ვეკითხებიო და გზა განაგრძო, ეგებ ვინმე ისეთ გადავეყარო ჭკუა რომ მოეკითხებაო.

ამ ფიქრებში გართულს, ამჯერად მელია შემოხვდა. მასაც იგივე ჰკითხა ქათამმა: – ნუთუ ვერასდროს გავინავარდებ ცაში? ვერ ჩამოვუქროლებ შრიალა ფოთლიან ხეებსო?..

მელას, მშიერ კუჭზე, ისე ეამა ბრიყვი ლუკმის გამოჩენა, რომ მაშინვე ენა დაიტკბო. ქათამთა მოდგმას იმდენი ხოტბა და დიდება ასხა, იმდენი აქო და ადიდა, რომ ქათამს თავი უკვე ღრუბლებში ეგონა. თან ამდენი ქებისგან მთლად გამოყეყეჩდა, ბოლოსდაბოლოს მეც ფრინველი მეთქმისო და მთელი ძალღონით ფრთების ქნევას მოჰყვა.

– ეგრე, მიწაზე არაფერი გამოვა. აი, ხიდან თუ სცდი, მაშინ სულ სხვა საქმეა, – ისევ დათაფლული ხმით წასჩურჩულა მელამ.



— ეეე... ხეზე ასვლა რომ შემეძლოს, — მაშინვე ფრთები ჩამოყარა ქათამმა, მაგრამ მელა იქვე არ იყო? ხეზე აყვანას სულ თათში ატატებულს შეპირდა.

ქათამმა იფიქრა, ეს რამხელა პატივი მერგო, ეტყობა, ჩვენი მოდგმა მართლაც სანაქებო ყოფილაო. ბევრი აღარ უფიქრია და ცბიერ მელას თათებში შეუფართხალდა.

მელამ მაგრამ ჩასჭიდა თათები, ჩანაფიქრს არ მიმიხვდეს და არ გამექცესო. გეზი თავისი სოროსკენ აიღო. ქათმის მოსატყუებლად კი მოიმიზეზა:

— ყველაზე მაღალი ხე უნდა შეგირჩიოო.

ჩერჩეტ ქათამს მანამ სჯეროდა მელასი, სანამ მის სოროსთან არ ამოყო თავი. იცოცხლეთ, მაშინ კი გადაუქანდა შიშისგან გული, ატეხა ერთი ფართხალი, მაგრამ მელა თითქმის პირ-თან მიტანილ ლუკმას თათს გაუშვებდა?

ქათმის ბედად, იქვე ახლოს, თოფის ხმა გაისმა, ეტყობა მელიებზე ნადირობდნენ — გუნება წაუხდა მელას. შიშისგან ქათამი სულ მიავიწყდა და შურდულივით შევარდა თავის სოროში.

იმ დღის შემდეგ, შიშნაჭამ ქათამს მოლაღურივით ან თუნდაც ბეღურასავით ცაში ფრენაზე ერთხელაც კი აღარ უფიქრია.

*მხატვარი: ლელა ცინაძე*





რომელი ნივთი რომელ ფიგურას ჰგავს? დააკავშირე ხაზებით. შემდეგ გააფერადე ფიგურები.



დათვალე ბუშტები და ყველა ძაღლი შესაფერის ციფრთან ხაზებით დააკავშირე.



# გააფერადე

შეაერთე წერტილები თანმიმდევრობით და გააფერადე ნახატი.



# გააფერადე



# შეამოწმე შენი ცოდნა





1. ბუნების რომელ მოვლენაზე ამბობენ „ცრის“?



ა წვიმაზე
ბ თოვლზე
გ სეტყვაზე

2. რა ჰქვია ტაძრის კედელზე შესრულებულ ნახატს?



ა ბარელიეფი
ბ ფრესკა
გ გრავიურა

3. რა ჰქვია გზას, რომლის ორივე მხარეს ხეებია ჩამწკრივებული?



ა ხეივანი
ბ ტალავერი
გ ორღობე



4. რომელია მარადმწვანე, ფოთლოვანი მცენარე?

ა ბზა

ბ ცაცხვი

გ ტირიფი



5. რა ჰქვია საჭმელად გადამუშავებულ თევზის ქვირითს?

ა ხიზილალა

ბ ფილე

გ ჟელე





6. ვინ იყო სინდბადი?

ა მეხანძრე

ბ მფრინავი

გ მეზღვაური



7. რა სახის ნაწარმოებია „რამ შეჭამა ვენახი“?

ა ზღაპარი

ბ ლეგენდა

გ ბალადა



8. რა მასალის ჭურჭელი უფრო ადვილად გატყდება?

ა ხის

ბ მინის

გ რკინის

# ვნახოთ, როგორ გიყვარს ლექსები და კარგად იცნობ თუ არა ქართველ საბავშვო პოეტებს?

ტესტი

მაყვალა მრევლიშვილის ლექსში „კიკლი-კიკლი კიბესა“ – ვინ ემუქრება საწყალ ბაჭიას?
ა) დათვი;
ბ) ტურა;
დ) მელა.

ნოდარ დუმბაძემ დაწერა:
ა) „იავნანამ რა ჰქმნა“;
ბ) „სულიკო“;
გ) „ვარადა“.

ვინ დაწერა ლექსი „ანა-ბანა, ანა-ბანა“?
ა) აკაკი წერეთელმა;
ბ) ნოდარ დუმბაძემ;
გ) მორის ფოცხიშვილმა.

გივი ჭიჭინაძე იყო...
ა) მხატვარი;
ბ) მწერალი;
გ) პოეტი.

შეარჩიე ლექსის სწორი გაგრძელება:
ყველაზე ლამაზო,
ყველაზე კეთილო...
ა) ნუ წახვალ ნურსად ლამაზო დედილო;
ბ) არ დამემალო ძვირფასო დედილო;
გ) ნუ სწყრები მალ-მალე, პატარა დედილო.

შედეგები:

1. თუ შენს პასუხებში მხოლოდ „ა“ და „ბ“ ვარიანტებია, გამოდის, რომ ვერც ერთ შეკითხვას ვერ გაეცი სწორი პასუხი, ანუ ქართველ პოეტები თითქმის არ გცოდნია;
2. თუ პასუხებში მხოლოდ 1 ან 2 „გ“ ვარიანტი მოხვდა, ესე იგი, საბავშვო ლექსები ცოტათი მაინც გისწავლია;
3. თუ შენს პასუხებში უმეტესობა „გ“ ვარიანტია, ყოჩაღ! კარგად გცოდნია ქართველი საბავშვო პოეტები და მათი ლექსები.

# მხატვრის გვერდი

ამ ნახატებიდან რამდენიმე „ბიბლუსი ქიდს-ში“ გასართობად მისული პატარე-ბის დახატულია. თქვენც გაერთეთ „ბიბლუსი ქიდსში“, იქვე დახატეთ და საუკეთესო ნახატე-ბი ჩვენს ჟურნალში მოხვდება.


თეკლა სვანიძე, 12 წლის


ანი აფციაური, 9 წლის


გიორგი ხუბაშვილი, 9 წლის


ნინი როინიშვილი, 7 წლის


სოფო გუძიშვილი, 4 წლის


თინანო კვეზერელი, 5 წლის


თათია სვანიძე, 10 წლის


ლიზი გენებაშვილი, 5 წლის


ლიზა კაპანაძე, 7 წლის


გიორგი ვადაჭკორია, 10 წლის


ქეთათო კვეზერელი


შაკო ღლონტი, 7 წლის

## №37-ის პასუხები

**გვ. 3. მოზაიკა. იკითხება: გადაფრენა**

**გვ. 6. კროსვორდი „საბაზანო“:**
1. საპონი; 2. პირსახოცი; 3. აბაზანა; 4. სავარ-ცხელი; 5. ფარდა; 6. ჯაგრისი; 7. შამპუნი; 8. ნიჟარა; 9. ხალათი; 10. თარო; 11. სარკე

**გვ. 8. კროსვორდი „ზარი“.**
**იკითხება: მასწავლებელი**
1. მამალი; 2. აისი; 3. სამი; 4. წიგნი; 5. აკაკი; 6. ვარდი; 7. ლექსი; 8. ექიმი; 9. ბურთი; 10. ენდრო; 11 ლოცვა; 12. იადონი.

**გვ. 12. კროსვორდი:**
1. ანტენა; 2. კოდალა; 3. ტელეფონი; 4. ჩიტი; 5. ნიანგი; 6. ია; 7. ნაყინი; 8. ასანთი; 9. სოკო; 10. საათი; 11. რკო; 12. კანფეტი; 13. ტორტი; 14. კატა.

**გვ. 26-27. შეამოწმე შენი ცოდნა:**
1-ა; 2-ბ; 3-ა; 4-ა; 5-ა; 6-გ; 7-ა; 8-ბ.

**გვ. 30. სკანვორდი:**
1. მაიმუნი; 2. მანქანა; 3. ბალუ; 4. ბადმინტონი; 5. არფა; 6. დრო; 7. მეტრო; 8. ია; 9. არიელი; 10. მამალი; 11. რკო; 12. სკა; 13. სარკე.

კოლორი
დაიბეჭდა სტამბა კოლორში
პალიტრამედიის ცხელი ხაზი: (995 32) 2 19 60 13
(995 32) 2 19 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
sabavshvo@palitra.ge
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
სარეკლამო: (995 32) 2 37 78 07
(995 32) 2 38 78 70
საბავშვო კარუსელი №37 (602)

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე:
www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

# სკანვორდი


„ველზე ... ამოვიდა,
მიიხედა, მოიხედა,
მწყურიაო, – ჩუმადა თქვა,
დაძახება ვერ გაბედა“
Metro Tbilisi
მიწისქვეშა
ტრანსპორტი
რასაც საათი უჩვენებს

# თავსატეხი

- რომელ ნახატზეა წრე სამკუთხედის ქვეშ?
- რომელ ნახატზეა კვადრატი წრის თავზე?
- რომელ ნახატზეა სამკუთხედი წრესა და კვადრატს შორის?
- ერთი ფორმის ფიგურები ერთნაირ ფერებად გააფერადე.



უპოვე ხალიჩებს ამოჭრილი ნაწილები



# გამომცემლობა პალიტრა L-ის წიგნები

**გვ. რაოდ.:** 318
**ფორმატი:** 19.5x24.5
**ყდა:** დრეკადი

## კლასიკური ზღაპრების საგანძური

იმოგზაურე ჯადოსნურ სამყაროში




**ყველა დროის საუკეთესო ზღაპრები!**

გადაშალე წიგნი და პერსონაჟებთან ერთად იმოგზაურე ჯადოსნურ სამყაროში. იოცნებე, შეიყვარე, გადაარჩინე, გაიმარჯვე მათთან ერთად! ნახე, როგორ ამარცხებს კეთილი ბოროტს! იკითხე და შენც გახდი ჯადოსნური სამყაროს ნაწილი.

**ფასი 24.99 ლარი**

**გვ. რაოდ.:** 33
**ფორმატი:** 15X17
**ყდა:** მაგარი

## ანბანთქება




**სახალისო ლექსების კრებული ბავშვებისთვის!**

ლექსებად აკინძული ქართული ანბანი. თითოეული ლექსი ბავშვებს სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარულს ასწავლის.

წაიკითხეთ,
ისწავლეთ და
გაერთეთ!

**ფასი 9.95 ლარი**

**გვ. რაოდ.:** 318
**ფორმატი:** 19.5x24.5
**ყდა:** დრეკადი

## ზღაპრების დიდი წიგნი

იმოგზაურე ჯადოსნურ სამყაროში




**ჯადოსნური ზღაპრების წიგნი ერთი დიდი და ფერადი სამყაროა!**

აქ ფერიები, მოლაპარაკე მხეცები, ჯუჯები და რაინდები ცხოვრობენ; პრინცესები თავიანთ გმირებს ელიან; მეფეები და დედოფლები ზღაპრულ წვეულებებს მართავენ... წაიკითხე და აღარ მოიწყენ, თითო ზღაპარი ერთი დიდი და უჩვეულო თავგადასავალია.

**ფასი 24.99 ლარი**

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ www. palitral.ge Palitra.L.Publishing